საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №10

2013 წლის 9 იანვარი

ქ. თბილისი

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 დეკემბრის №622 ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 დეკემბრის N622 ბრძანებულებაში (სსმ III, 2008 წ., №184, მუხ. 1884) შეტანილ იქნეს ცვლილებები და ბრძანებულების პირველი, 1^1 და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის 12^1 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, კორუფციის წინააღმდეგ ეფექტიანი და კოორდინირებული ბრძოლის ხელშეწყობის მიზნით შექმნილი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს (შემდეგში - საბჭო) შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) საქართველოს იუსტიციის მინისტრი, საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორი;

გ) საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი;

დ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;

ე) საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე;

ვ) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;

ზ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე;

თ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე;

ი) საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე;

კ) საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

ლ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე;

მ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი;

ნ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსი;

ო) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე;

პ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის უფროსი;

ჟ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსი;

რ) საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის (დეპარტამენტის) უფროსი;

ს) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი.

1^1. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს საბჭოს შემადგენლობიდან ნიშნავს საბჭოს თავმჯდომარე.

2. ეთხოვოთ საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა:

ა) „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ წარმომადგენელს;

ბ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის -საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელს;

გ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს ბიზნესასოციაციის წარმომადგენელს;

დ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წარმომადგენელს;

ე) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის წარმომადგენელს;

ვ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის -არჩევნებისა და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევითი ცენტრის წარმომადგენელს;

ზ) საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის წარმომადგენელს;

თ) საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელს;

ი) აშშ-ს იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელს;

კ) გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს საქართველოში წარმომადგენლობის წევრს;

ლ) ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველოს“ წარმომადგენელს;

მ) საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის წარმომადგენელს;

ნ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ეკონომიკური პოლიტიკისა და კვლევის ცენტრის წარმომადგენელს;

ო) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენელს;

პ) საერთაშორისო სავაჭრო პალატის წარმომადგენელს;

ჟ) საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის წარმომადგენელს.“.
2. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**